საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №63 (ს/კ 01.18.06.005.056), მრავფუნქციური კომპლექსის შენობა №2-ის (II რიგის მშენებლობა) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №63 (ს/კ 01.18.06.005.056), მრავფუნქციური კომპლექსის, შენობა №2-ის (II რიგის მშენებლობა) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

შენობა შედგება 2 მიწისქვეშა ავტოფარეხის, 2 კომერციული, 1 საოფისე და 11 საცხოვრებელი სართულისაგან.

სამშენებლო შბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ^2.;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2.

საძირკვლის კონსტრუქციად გამოყენებულია 0.8 მონოლითური ფილისა და 1.0 დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა.

საძირკვლის ფუძედ მონოლითური ფილისათვის მიღებულია ალუვიურ-დელუვიური ძირითადი ქანის გამოფიტვის ქერქოვანი ზონა საანგარიშო წინაღობით 3.5 კგძ/კვ. სმ., ბურღვით-ნატენი ხიმინჯებისათვის მიღებულია ძირითადი ქანი, არგილიტებისა და ქვიშა ვების მორიგეობა საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში 90.0 კგძ/კვ. სმ.

სარდაფის კედლები – რკინაბეტონის მონოლითური, სისქით 30 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი:

მონოლითური სვეტები – კვეთით (60X80, 60X70, 60X90, 50X80, 40X80, 40X70, 40X60, 40X40) სმ;

რიგელები – კვეთით (40X60, 30X60, 60X60) სმ.

დიაფრაგმები – სისქით 20 - 25 - 30 სმ.

შენობის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილებით, სისქით 22 სმ.

შენობის გაანგარიშებები, ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, გორგასლის ჭუჩა №63-ში (საკ. კოდი № 01.18.06.005.056) მდებარე მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგენილია შემდეგი ხარვეზები:

+3.30 ნიშნულზე "1-2" - "ა-ე" მონაკვეთში გაზრდილია საცურაო აუზის გაბარიტი.

"5-7" - "დ-ზ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი გარე საცურაო აუზი.

+6.60 ნიშნულზე, "13" ღერძის გარეთ, "ი-ო" მონაკვეთში შემცირებულია აივნის სიგანე.

შენობაში გაზრდილია კოლონების განივი კვეთის გაბარიტი, შეცვლილია რაოდენობა და ნაწილობრივ ფორმა. ნაწილობრივ შემცირებულია და გაზრდილია კოლონებს შორის მანძილი.

"ი" და "ჯ" ღერძებთან, "4-10" მონაკვეთში გაზრდილია ბიჯის ფართი, შიდა ფართის შემცირების ხარჯზე. "ო" ღერძთან, "9-10" მონაკვეთში შეცვლილია ბიჯის შრომა და გაბარიტი.

ყველა სხვა დანარჩენი ხარვეზები, რომელიც აღნიშნულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, განეკუთვნება არქიტექტურულ ნაწილს და შენობის კონსტრუქციის მუშაობაზე და მდგრადობაზე გავლენას არ ახდენს.

კონსტრუქციულ ნაწილთან დაკავშირებული შენიშვნების გათვალისწინებით, მოხდა კონსტრუქციული ნაწილის გაანგარიშება გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენობის მდგრადობა აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით ცალსახად უზრუნველყოფილია.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით, შესაბამისად, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და შენობას ეძლევა ცალსახად დადებითი საექსპერტო შეფასება.

ექსპერტი – საკონსტრუქტორო

განყოფილების პროექტის

მთ. კონსტრუქტორი გ.რეხვიაშვილი

16.08.2019 წ.